




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები ივლისი, 2020



მოკლე შეჯამება


- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2020 წლის ივნისში, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა -7.7 პროცენტი
- წლიურმა ინფლაციამ ივლისში შეადგინა 5.7 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 6.1 პროცენტი
- ივნისში ექსპორტი შემცირდა წლიურად 13.1 პროცენტით
- ივნისში იმპორტი შემცირდა წლიურად 17.2 პროცენტით
- რეფინანსირების განაკვეთი შემცირდა 8 პროცენტამდე



ეკონომიკური ზრდა

2020 წლის ივნისში, წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა -7.7 პროცენტი, ხოლო 2020 წლის ორი კვარტლის საშუალო მაჩვენებელი -5.2 პროცენტით განისაზღვრა. აღნიშნული მკვეთრი შემცირება გამოწვეულია ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო. 2020 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კლება დაფიქსირდა თითქმის ყველა სექტორში, სამთომომპოვებითი მრეწველობის, წყალმომარაგების, კანალიზაციის და ნარჩენების მართვის საქმიანობების გარდა, სადაც დაფიქსირდა ზრდის ტენდენცია.

დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა



წყარო: საქსტატი


ფასების დონე

2020 წლის ივლისის მონაცემებით, ინფლაციის დონემ 5.7 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც მიზნობრივ ინფლაციაზე მაღალია. საბაზო ინფლაცია კი შესაბამის პერიოდში 6.1 პროცენტზე დაფიქსირდა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე (+11.5 პროცენტი), ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (+9), ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა (+9.8), სასტუმროები, კაფეები (+7.4), ჯანმრთელობის დაცვა (+7.2). ხოლო წლიური კლება დაფიქსირდა ტრანსპორტის (-9.3) და დასვენება, გართობა და კულტურა (-1.2) კატეგორიებში.


ამავე დროს, 2020 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციამ შეადგინა -0.5 პროცენტი. მნიშვნელოვნად შემცირდა ფასები ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კატეგორიაში (-4 პროცენტი) და სურსათსა და უალკოჰოლო სასმელების კატეგორიაში (-1.6).

დიაგრამა 2: წლიური ინფლაცია, 2020 ივლისი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 3: ინფლაციის დეკომპოზიცია, 2020 ივლისი



წყარო: საქსტატი


საგარეო ვაჭრობა

დიაგრამა 4: ექსპორტის და იმპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 5: ექსპორტის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 6: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი

2020 წლის ივნისში ექსპორტი წლიურად შემცირდა 13.1 პროცენტით და გაუტოლდა 266.9 მლნ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი შემცირდა 17.2 პროცენტით და გაუტოლდა 576.3 მლნ აშშ დოლარს, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 20.5 პროცენტით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 309.4 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნული მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელების შედეგად საშინაო და საგარეო მოთხოვნის შემცირებით და რეგიონში ეკონომიკური აქტივობის შეჩერებით. 2020 წლის ივნისში ექსპორტის რეალურმა ზრდამ -17.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო იმპორტის რეალურმა ზრდამ -11.5 პროცენტი. რექსპორტის წილმა შეადგინა 28.7 პროცენტი, ხოლო ნედლეულის ექსპორტმა - 37.9 პროცენტი.

2020 წლის ივნისში, საინვესტიციო საქონლის იმპორტი, შუალედური საქონლის იმპორტი და სამომხმარებლო საქონლის იმპორტი შემცირდა 12.2, 3.6 და 6.2 პროცენტით შესაბამისად.


2020 წლის ივნისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი დაიკავა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა 74 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 27.7 პროცენტი), მეორე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 29.6 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ღვინო 18.2 მლნ. აშშ დოლარით (6.8 პროცენტი). 2020 წლის ივნისში მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იყო უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი, რომლის იმპორტმა 45.6 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 7.9 პროცენტი შეადგინა. ასევე მნიშვნელოვან წილს იკავებდნენ ნავთობი და ნავთობპროდუქტები 35.8 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 6.2 პროცენტი) და სპილენძის მადნები და კონცენტრატები 34.9 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.1 პროცენტი).

2020 წლის ივნისში უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორს წარმოადგენენ ჩინეთი (43.4 მლნ. აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 16.3 პროცენტი), აზერბაიჯანი (32.9 მლნ. აშშ დოლარი, 12.3) და რუსეთი (30.7 მლნ. აშშ დოლარი, 11.5). ხოლო უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნები არიან: თურქეთი (115.9 მლნ. აშშ დოლარი, 20.1), რუსეთი (59.1 მლნ. აშშ დოლარი, 10.3) და ჩინეთი (50.8 მლნ. აშშ დოლარი, 8.8).

ტურიზმი

2020 წლის ივნისში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 96.7 პროცენტით შემცირდა და 11.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მკვეთრი შემცირება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელების გამო საზღვრების ჩაკეტვით და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტით საქართველოს ტერიტორიაზე მარტის მეორე ნახევრიდან. 2019 წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1.4 პროცენტით. აღნიშნული შედარებით მცირე ზრდა გამოწვეულია ივლისში დაწესებული ფრენების აკრძალვით რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით. თუმცა, ამავე დროს სხვა ქვეყნებიდან გაზრდილმა შემოსავალმა მოახერხა აღნიშნული უარყოფითი შოკის გავლენის შემსუბუქება. ამავე დროს, ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წელს წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით.

დიაგრამა 7: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილები

2020 წლის ივნისში წმინდა ფულადი გზავნილები 147.3 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც შეადგენს 16.8 პროცენტთან წლიურ ზრდას. გზავნილები გაიზარდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან, სადაც მოხდა არსებული შეზღუდვების ნაწილობრივი შერბილება და ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურება. გზავნილები გაიზარდა იტალიიდან 39.3 პროცენტით (5.9 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში), აშშ-დან 32.6 პროცენტით (3.9 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში), საბერძნეთიდან 16.9 პროცენტით (2.2 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში). ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა გზავნილები გერმანიიდან, აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან. ამავე დროს, წმინდა გზავნილებში კლება დაფიქსირდა რუსეთიდან -8.5 პროცენტის მოცულობით (-1.9 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში) და თურქეთიდან -7.8 პროცენტი (-0.3 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში).

დიაგრამა 8: წმინდა ფულადი გზავნილები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსი

დიაგრამა 9: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

31 ივლისის მდგომარეობით, 2020 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.3 პროცენტით არის გაუფასურებული, ხოლო 2019 წლის 1 იანვართან შედარებით კი 7.9 პროცენტით. ამავე დროს, ივნისის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 5.1 პროცენტით არის გაუფასურებული წინა წლის იანვართან შედარებით და 0.2 პროცენტით გამყარებული 2020 წლის იანვართან შედარებით.

დიაგრამა 10: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ცვლილება

	31 ივლისი, 2020	31 ივლ 2020 - 1 იან 2020	31 ივლ 2020 - 1 იან 2019
ევრო	3.6086	▼ -10.9%	▼ -15.2%
აშშ დოლარი	3.0719	▼ -6.7%	▼ -13.0%
თურქული ლირა	0.4399	▲ 9.5%	▲ 14.9%
რუსული რუბლი	0.0417	▲ 10.5%	▼ -8.0%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	117.70	▼ -1.3%	▼ -7.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ივნისი, 2020)	113.54	▲ 0.2%	▼ -5.1%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება


2020 წლის გადასახადების იანვარ-ივლისის საპროგნოზო მაჩვენებელი 6,129 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის იანვარ-ივლისის ფაქტობრივი მაჩვენებელი დაგეგმილზე 3.3 პროცენტით მეტია, და შეადგენს 6,333 მლნ ლარს.

რაც შეეხება 2020 წლის ივლისის გადასახადების ივლისის საპროგნოზო მაჩვენებელი 740.3 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის ივლისის ფაქტობრივი მაჩვენებელი დაგეგმილზე 22.3 პროცენტით მეტია, და შეადგენს 905.5 მლნ ლარს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 242.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (221.0 მლნ ლარი) 109.9 პროცენტია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 56.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (40.0 მლნ ლარი) 164.1 პროცენტია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 430.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (380.0 მლნ ლარი) 113.2 პროცენტია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 177.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (117.0 მლნ ლარი) 151.7 პროცენტია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 5.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5.3 მლნ ლარი) 103.9 პროცენტია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 8.9 მლნ ლარი, რაც 4-ჯერ აღემატება საპროგნოზო მაჩვენებლის (2.0 მლნ ლარი).


2020 წლის ივნისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდა 14.6 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 25.1 პროცენტით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა -39 მლნ ლარით, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -338.2 მლნ ლარით. ჯამში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურად შემცირდა 11 პროცენტით, რაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დღგ-დან მიღებული შემოსავლის კლება.

დიაგრამა 11: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 12: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


დიაგრამა 13: პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



დიაგრამა 14: საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



დიაგრამა 15: ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი




სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი

2020 წლის ივლისში ჩატარდა 5 აუქციონი ჯამური გამოშვებით 260 მლნ ლარი. აგრეთვე, ამავე თვეში განხორციელდა 198.1 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისია პირდაპირი განთავსების გზით, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმის ფარგლებში. თვის ყველა გამოშვების გათვალისწინებით საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.902 პროცენტი შეადგინა.

გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 405 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები. პორტფელში გაიზარდა 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების წილი, რამაც გამოიწვია სხვა ვადიანობების ჯამური პროცენტული წილის შემცირება.

2020 წლის 31 ივლისისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 31.8 პროცენტი ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში. თვის განმავლობაში აუქციონებზე დაფიქსირებული მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (ივნისი 2.08) შედარებით შემცირდა და 1.91 შეადგინა.

დიაგრამა 16: პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით



კერძო სექტორის დოლარიზაცია


სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია. მთლიანი სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციით. 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 57.9 პროცენტი შეადგინა, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ - 27.3 პროცენტი, ხოლო მთლიანად სესხების ლარიზაციამ კი 42.9 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური, ასევე - სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 87.2 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია გაუტოლდა 32.2 პროცენტს.

დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციამ 37.8 პროცენტი შეადგინა, იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია ამავე პერიოდში 51.8 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია - 25.4 პროცენტს.


მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 2020 წლის ივლისის დასაწყისისთვის გაუტოლდა 44.7 პროცენტს. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 33.3 პროცენტია, ხოლო ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია - 36.4 პროცენტი.

დიაგრამა 17: სესხების ლარიზაცია





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 18: დეპოზიტების ლარიზაცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 19: სესხების წლიური ზრდა



დიაგრამა 20: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის წლიური ზრდა 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 2019 წელთან შედარებით 12.9 პროცენტი შეადგინა. იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა კი წინა თვესთან შედარებით 3.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 19.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 8.6 პროცენტს შეადგენს.

2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.5 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტაში გაცემული სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით უცვლელი დარჩა და იმავე პერიოდში 11.1 პროცენტს გაუტოლდა.

2020 წლის ივლისისთვის იპოთეკური სესხების წლიური წინა თვესთან შედარებით 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 19 პროცენტი შეადგინა.

დეპოზიტების მიმოხილვა


მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2020 წლის ივლისში 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11 პროცენტს შეადგენს, ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა წინა პერიოდთან შედარებით 7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 17 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა - 7 პროცენტს.

2020 წლის ივლისში ფიზიკური პირების დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 10 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 11 პროცენტს.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 5 აგვისტოს რეგინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით შემცირების გადაწყვეტილება მიიღო და განისაზღვრა 8 პროცენტით. ეროვნული ბანკის პროგნოზით, ინფლაცია დროებითი ფაქტორების გამო, რამდენიმე თვის განმავლობაში მაღალ მაჩვენებელზე შენარჩუნდება, შემდეგ ეტაპობრივად შემცირდება და 2021 წლის პირველ ნახევარში მიზნობრივ დონემდე დავა. ეროვნული ბანკის თანახმად, შემცირების მიუხედავად, მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებული რჩება, რაც საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან დაბრუნებას უზრუნველყოფს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი გამკაცრებული პოლიტიკიდან გამოსვლას ეტაპობრივად განახორციელებს და შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შემცირდება ინფლაციის მოლოდინები. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2020 წლის 16 სექტემბერს ჩატარდება.

დიაგრამა 22: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 21: დეპოზიტების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები

დიაგრამა 23: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2020 წლის ივლისისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.9 პროცენტს უტოლდება.


2020 წლის ივლისში იურიდიული პირები მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.7 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2.5 პროცენტს. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე გაუტოლდა 3 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.1 პროცენტს.

2020 წლის ივნისში საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 19.9 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 26.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.4 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2020 წლის ივლისში, 16.7 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 17.9 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 8.3 პროცენტს.

იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2020 წლის ივნისის ბოლოს 12.2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 6.9 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 11.9 პროცენტი შეადგენა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.3 პროცენტი.

დიაგრამა 24: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

